სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №2

ქ. მცხეთა 23 მაისი 2013 წელი

ზურაბ აბესაძე –	მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე-კომისიის თავმჯდომარე;
გიორგი პაპაშვილი-	მცხეთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი გიორგი პაპაშვილი-კომისიის წევრი.
სოფიო ბოჭორაძე -	მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის წამყვანი სპეციალისტი-კომისიის წევრი.
ილია ოდიშელიძე –	მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი-კომისიის წევრი.
სოფიო მამისაშვილი –	მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის წამყვანი სპეციალისტ-კომისიის წევრი.
უშანგი ზურაბიშვილი-	მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, არქიტექტურულ- სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის მთ. სპეციალისტ-კომისიის წევრი.

დღის წესრიგი:

მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის 15 მაისს გამოცხადებული №769 კონკურსის „ქ. მცხეთაში მდებარე კულტურის სახლის დემონტაჟის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე" განხილვა, შეფასება.

მოისმინეს:

№769 კონკურსზე „ქ. მცხეთაში მდებარე კულტურის სახლის დემონტაჟის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე“ საკონკურსო წინადადება თანდართული დოკუმენტაციით წარმოადგინა შპს „ექსპერტმა“.

საკონკურსო კომისიის წევრები გაეცვნენ და განიხილეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

კომისიამ დაადგინა:

დოკუმენტაციის განხილვის და შეფასების შედეგად კომისიამ დადგინა, რომ შპს „ექსპერტი“-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით მოთხოვნილ მონაცემებს და ასევე #769 საკონკურსო განცხადებით მოთხოვნილ პირობებს.

შპს „ექსპერტს“ ეცნობოს წერილობით კონკურსის განხილვის შედეგი და გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ხელშეკრულება არაუგვიანეს 2013 წლის 24 მაისისა.

კომისიის თავმჯდომარე: ზ. აბესაძე

კომისიისწევრები:

გ. პაპაშვილი

ი. ოდიშელიძე

ს. ბოჭორაძე

უ. ზურაბიშვილი

ს. მამისაშვილი